კვირა, 11 დეკემბერი 1927 წ. № 130 ფასი სამი შაური

ბარბაროზი

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“...

ერთა ლიგის მეკარე (დეპუტატს):— განიარაღ-დით! იარაღით შესვლა ლიგის სხდომაზე აკრძალულია.
დეპუტატი:—მე მოხსენება უნდა გავაკეთო განიარაღების შესახებ, რამაც, მოსალოდნელია, დეპუტატებს შორის ჩხუბი გამოიწვიოს, რისთვისაც საჭირო იქნება იარაღი.

„ოპოზიციის გრალია"

საამქროში გაცხოველებული მუშაობაა. ირგვლივ ...ლაფერი ქშინავს და ხმაურობს. სცემს ქარხნის ძარ... ...ილაუნებურად გაგონდება პოეტის სიტყვები:

გმინავს ქარხანა, ქშინავს მჭედელი,
რომ გამოკვეთონ მან ზარბაზანი,—
თანაც ტრაქტორიც ზედ მიაყოლოს,
რომ ავაყვაოთ მეურნეობა...

უცებ ახალგაზრდა დურგალმა მუშაობა შეაჩერა და წამოიძახა:

— ჰა? რას იქმენ თუ იცით, ამხანაგებო! გამოჰყრიან პარტიიდან?

— დაკვრითი წესით,—უპასუხა მას დათომ—პროფაქტივმა და შეუდგა მსჯელობას. სხვებიც შეჩერდენ და ...მათში ჩაებენ.

— კი მაგრამ, შენ ხომ ოპოზიციონერობდი?

— მე მგონია აპატიებენ,—სთქვა ერთმა.

— ნიკაკიხ!—ამბობდა დათო.—თქვენ გგონიათ თავე ხელს მოუსვამენ? ტროცკი დიდი კაცი იყო, მაგრამ ახლა გამენშევიკებულია. მენშევიკებმა ეგებ ახლაც დიდ კაცათ მიიღონ, მაგრამ ბოლშევიკებისთვის ტროცკი უკვე დაპატარავდა.

— მართალია, მართალი:—დაეთანხმენ მას.

— კი მაგრამ, გამოგდებით, მაინც არ გამოაგდებენ! იძახდა დურგალი.

ისევ შეიქნა კამათი.

დასვენების საყვირი გაისმა და კამათი ახლა სასაუზმოში გადავიდა. იქ სხვებიც კამათობდენ.

— ვიღუპები კაცი, ეს მუშები ოპოზიციის შესახებ მსჯელობას გადაყვენ. პროდუქცია კლებულობს!— ჩიოდა ქარხნის დირექტორი—დაწინაურებული მუშა.

—:—

კანცელიარიის კარები გაიღო. ოთახში საქმეთა მმართველი შევიდა. ხელში „პრავდა" უჭირავს. სხვებიც გაზეთებს კითხულობენ.

დილის 11 საათი შეიქნა.

— მაგარია, მაგირი ეს ჩვენი კამენევი..—ჩაილაპარაკა ბუღალტერმა.

— რაო, რა თქვი?—შეეკითხა საქმის მწარმოებელი.

— არაფერი... შეეშინდა ბუღალტერს,—კამენევს გამორიცხავენ-თქვა.....

— შეიძლება მართლაც გამორიცხონ!—სთქვა საქმის მწარმოებელმა

— რა თქვა თუ იცი ზინოვიევმა?—იკითხა მოლარემ.

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი. მაგათს პლატფორმას.

— ტსსს! გაგიჟდი?—(მიიხედ-მოიხედა საქმეთა მმართველმა, რომელიც თავს ევლებოდა თავის თანამდებობას).—მე თავიდანვე პოზიციის მომხრე ვიყავი.

— არ მგონია.

— როგორ თუ „არ გგონია", შენ თითონ ოპოზიციონერო...

— ოპოზიციას გიჩვენებ მე შენ!— დაიყვირა მოლარემ და სალაროს გასაღები ცხვირში მიახალა საქმეთა მმართველს, რომელმაც სამენლე ბოთლს წამოუსვა ხელი.

ტრრრრრააააახხხ! გაისმა დამტვრეული სკამის ხმა.

ბრრრრააახხხ! გაეხმაურა მას წაქცეული მაგიდა.

ბრძოლა სულ ოციოდე წუთს გაგრძელდა. „პოზიციაც" და "ოპოზიციაც" საკმაოდ დაზიანდა, უფრო მეტად კი—საკანცელარიო ნივთები. თავგატეხილი გამგე სახლში წაიყვანეს.

—:—

— აბა ბილეთები, ბილეთები! ნეტუ მესტოვ, სად მოდიხართ, ვაგონ ბიტკამი ნაბიტო!—ყვირის ტრამვაის კონდუქტორი და ბილეთებს არიგებს.

ნახევარი საათის შემდეგ ვაგონი დაცალიერდა და კონდუქტორი ისევ ძველ თემას მიუბრუნდა:

— აკი ამბობდი, არ გამომრიცხავენო!—ნიშნის მოგებით უთხრა მან ვატმანს.

— გამორიცხეს, რა უყოთ მერე!—უპასუხა მკაცრად ვატმანმა და ტრამვაი დაძრა.

— ასე ბიძია; აბა რავა გეგონა? ასე იცის მეტის-მეტმა ოპოზიციონერობამ.

—ნეტა ვიცოდე, შენ რაღა გიხარია?

— ის რომ გამორიცხეს ყველა. პარტიაში თუ ხარ, პარტიას დაუჯერე....

— კარგი ერთი თუ კაცი ხარ, გააჭივრე საქმე. შენ რომ ცეკისტი ხარ, რა გამიკეთე?

— რა გაგიკეთე და აღმშენებლობას ვეწევი'

— ოპოზიცია რაღას გიშავებს?

— რას და მიშლის აღმეშენებლობას. ვგონებ შენც მათი მომხრე ხარ...

— უკაცრავად ბრძანდებით! შენ თითონ ოპოზიციონერო!

— შენ არ იყავი....

— თავი დამანებე, თორემ! ხომ ხედავ ამ.... ისეთს გაგიშლი, რომ ოპოზიცია კი არა, კონდუქტორობაც დაგავიწყდეს....

— ვის უბედავ შე.—.

— ბოჟე მოი! ჩემი პუპსიკა!—გაისმა ქალის კივილი. ვატმანმა ვაგონი გააჩერა. ხალხი შეგროვდა. გაცხარებულ კამათში ვატმანს ყველაფერი დაავიწყდა და რომელიღაც მანდილოსნის ძაღლი პუპსიკა შეიგდო ვაგონის ქვეშ. გაგიჟებული ქალი ვატმანს ეცა.

— დასწყევლოს ეშმაკმა! იმ შეჩვენებულმა კინაღამ შემომახია ეს ჩემი სპეცტანისამოსი... მერე რამდენი წვალება დამჭირდა ამის მიღებაზე....— გაიძახოდა დაზარალებული ვატმანი.

— ასე იცის ოპოზიციაზე დავამ,—დარიგების კილოთი უთხრა კონტროლმა.

—:—

— ჩვენს პატარა თათბირს გახსნილად ვაცხადებ, დღის წესრიგში სდგას სახლის შეკეთების საკითხი. —წარმოსთქვა საბინაო-საიჯარო ამხანაგობის სახლი გამგეობის თავმჯდომარემ.

— ფრიად დიდი და რთულია ეს საკითხი ამხანაგებო, ჩვენ ფული არ გვაქვს და სახლს შეკეთება ესაჭიროება.

— არ გვაქვს, უნდა ვიშოვოთ, ვისესხოთ,—სთქვა გამგეობის წევრმა.

— სახლის ქირა გავადიდოთ!—წამოიძახა სარევიზიო კომისიით თავმჯდომარემ.

— შენ რავა ოპოზიციონერივით მსჯელობ, ჩემო ძმაო,—შეეკამათა მას ერთ-ერთი მდგმური, რომელიც სათათბირო ხმით ესწრებოდა სხდომას.—რას მიქვია ქირის გადიდება?...

— ოპოზიციონერი მე კი არა, შენა ხარ,—დაუბღვირა მას მოწინააღმდეგემ.—პარტიიდან რომ გამორიცხეს, ის შენი ბიძაშვილი, მას შემდეგ სხვანაირად ჭუკჭუკებ!

— მე ვარ ოპოზიციონერი? ჰაი შე ტროცკისტო!..

— ტროცკისტიცა ხარ და მეტიც... ვის უბედავ შე უკლონისტო?..

წკრრრრრ! გაისმა ფანჯრის გატეხილ მინის წკრიალი, რადგანაც მდგმურის მიერ მოქნეული მუშტი ფანჯრის მინას მოხვდა.

ტრრახ! ტა-რა-რახ! კარგა ხანს ისმოდა გამგეობის სამუშაო კაბინეტიდან, სადაც გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა „ოპოზიციისა" და „პოზიციის" შორის.

— ჰაი, შე ოპოზიციონერო, ჰოგხვდა განა?—ჩასძახა მეორე სართულიდან გამარჯვებულმა მდგმურმა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მოაჯირიდან ისროლა მოწინააღმდეგემ.

— რა ეშმაკად გამოტყვრა ეს ოპოზიცია!—ბუზღუნებდა გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც ძვლის ჩარჩოიანი სათვალეები ჩაუმტვრიეს,—ეძებე ახლა სათვალეების ფული!..

ილარ-ალარსან.

ერთა ლიგის ყვავ-ყორნები



ეს ყვავ-ყორნები ჩონჩხზედა სხედან და ასე ჩხავიან:
— რა გვეშველება, რომ ქვეყნათ მართლაც დამყარდეს ზავი?!
არა ვინდომოთ მშვიდობა, არ მოკვდეს ჩვენი თავია:
საქმენი მათნი ყოველთვის მათსავით არის შავია.

ცოლ-ქმარი

ცოლი ემზადებოდა წასასვლელათ.

ქმარს უკვირდა:—სად ეშმაკში მიდის ნეტა? —მაგრამ შეკითხვას ვერ ბედავდა—იცოდა ცოლის ისტერიული ხასიათი.

— აბა, ჩაიცვი პალტო; მე მზათ ვარ! — უთხრა ცოლმა და სარკის წინ ორ-სამჯერ შემოტრიალდა.

— სად მიბრძანდებით! — შეკითხა დაცინვ-ნარევ ზრდილობით ქმარი.

— კინოში!

— ერთი საწყალი მანეთი მაქვს ჯიბეში... კალისათვის ვიყოფინოთ როგორმე და ზეგ ღმერთი მოწყალეა!

— „არა იზრუნეთ სახვალიო დღისათვის, რამეთუ იგი თვითონ ზრუნავს თავის თავზე!—მოუქრა ქრისტეს სიტყვებით ცოლმა და ტუჩებზე წითელი საღებავის წასმა დაიწყო.

— ჰო, მაგისი იმედი გქონდეს შენ და...

— ხმა მეთქი!—შემოუტია ცოლმა.—ქრისტე ჭკვიანი კაცი იყო... მე მზათ ვარ... პალტო ჩამაცვი

ქმარმა პალტო მიაწოდა.

— უი, შე უშნო შენა! ეს პალტო უნდა მეცვას მე? ხომ ხედავ ზამთარია! პალტოს „მეხი" უნდა (მეხი კი დაგეცა მაგ თავში)—! და ქმარს ქოქოლა მიაყარა თავში.— მე ქმარიანი ქალი ვარ — სითბო მესაჭიროება... ჩემთვის აუცილებელია მეხი ყელზე და ფეხებზე—პალტოს კალთებზე... უნდა შევიძინო აუცილებლათ!

— ფული თუ არ სჭირია, დიდი სიამოვნებით, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

— შენ თუ გიყურე, მე არასოდეს არაფერი არ მექნება. შე უსინდისო შენა; ზაფხულში ერთი მეტრო კრებდიში ვიყოფინე ტანსაცმელზე... რეჟიმეკონომია ჰქონა: ხომ გახსოვს როგორი მოკლე კაბა შევიკერე წვივები მიჩანდა, გულ-მკერდი და მკლავები სულ ტიტლიკანათ მქონდა- ხანახევროთ შიშველი ვიყავი. ამას იმიტომ ვშობოდი, რომ ეკონომია გამეწია ზაფხულში და ზამთრისათვის „მეხებში" ჩავთბილულიყავი...

— ვიცი, ვიცი... მაშინ ამბობდი: მოდა არისო... მოკლე კაბა იმიტომ შევიკერეო... ყველას აცვიაო... ეხლა ამბობ: ეკრეჟიმს ვიცავდიო!

ან ლაპარაკით ისინი გამოვიდენ ქუჩაში და მიმართულება აიღეს კინოსაკენ.

— ხელი გამიყარე მკლავში, თორემ ვინმე დამინახავს და იფიქრებს — ქმარს არ უყვარსო!

— შენ გამიყარე!

— ზრდილობა მასე არ თხოულობს. მკლავში ხელი გამიყარე, თორემ...

—ქალო, ხომ ხედავ როგორი სიცივეა!? მე ხელთათმანეთი არა მაქვს, შენ — კი. შიშველი ხელი გამიყინდება' რა გიჭირს, თუ მაინცდამაინც გინდა, შენ გამიყარე ხელი მკლავში და მე ჯიბეში მქონდეს ხელები დამალული!? ნუ გეშინია—ჯიბეც არ იყოს დაუხეველი; პალტოს დახეულ ჯიბეებიდან ხელები შარვლის ჯიბეში მაქვს ჩაწყობილი...

— მე არაფერი არ ვიცი, რომ გეუბნები, ის გაიგონე!

ქმრამა გაუყარა ხელი მკლავში და...

კინოში შევიდენ...

ენუქი.

რა არ მომწონს

მე ბევრი რამ არ მომწონს და დარწმუნებული ვარ, ჟეთილშობილო და პატიოსანო ტარტაროზო, რომ ყურადღებით ყოველივეს და სათანადო ზომებს მიიღებთ.

მე არ მომწონს, მაგალითად, როცა ჩემს ხარჯზე სხვა სხვას პატიჟობს, სხვა კიდევ სხვას და ფულის გადახდის დროს ყველას რევმატიზმი უჩნდება ხელებში და დამბლადაცემულივით სამ საათს აფათურებენ ხელებს ჯიბის მახლობლათ.

—:—

მე არ მომწონს ქუჩაში რომ მხვდებიან, გამაჩერებენ ამ ყინვაში და მეუბნებიან: „სხვა როგორ ხართო". ვიცი ფეხებზე ჰკიდიათ ჩემი კარგად ყოფნა. შიმშილით რომ ვკვდებოდე, ბოლოკის კუდს არ გამოიმეტებს ჩემთვის ისე „ცალი ყბით" მეუბნებიან და გულზე ვსკდები.

—:—

მე არ მომწონს თბილისში ტრამვაის მიმოსვლა, რადგან სამასი კაციც რომ ერთ ვაგონში მოთავსდეს, მე მაინც სახელურზე მომიხდება ჩამოკიდება ჭლექიან ჩურჩხელასავით.

—:—

არ მომწონს აგრეთვე ნაცნობი ქალის შეხვედრა კინოს მახლობლად, საღამოს ჟამს. დაიწყებს სურათის ქებას, თუნდაც რომ თავის დღეში არ გაეგენოს ერთი სიტყვა მის შესახებ. გინდა თუ არა, უნდა შეეპატიჟო. თუ უარი სთქვა, ხომ მიშველა ღმერთმა, თუ დასტური სთქვა, მაშინ სად მიძვრები? სად გაქვს გახვრეტილი შაურიანი?

—:—

არ მომწონს, საერთოდ, როცა დამპატიჟებენ და მგუდვენ ადუღებული წყლით. ესაო და კუჭს უხდება, დეზინფექციას უშვრებაო. რა აქვს ჩემს კუჭს სადეზინფექციო?

მე შენ გეტყვი და კუჭი არ ამეშალოს ნაირნაირი საჭმელებით! არხეინად იყავით, ქვასაც კი მოინელებს ჩემი კუჭი, ოღონდ კი ვაღირსო.

—:—

არ მომწონს არავითარი არჩევნები, რადგან ჩემი კანდიდატურა, სულ თავში რომ ურტყათ, არავის გაახსენდება.

—:—

არ მომწონს ჩემი სახლის პატრონი, რადგან კატამ რომ თევზი გადმოუგდოს მაგიდიდან, მე დამაბრალებს— იმის ბრალია, ფულს თავის დროზე არ იძლევა, შიმშილით მკლავს. კატაც მშიერია, ნერვიულობს და თეფშეს მიმტვრევსო. ან კიდევ, მუცელი რომ აეშალოს, მე მომადგება და მლანძღავს,— ფულს არ მაძლევს, მდარე ხორცის მეტი ვერ ვიყიდე და ამიტომ ვკვდებიო.

მე არ მომწონს საერთოდ შტატების შემცირება. ეს იმიტომ, რომ ყოველთვის პირველი კანდიდატი მე ვარ შემცირების დროს.

—:—

არ მომწონს ჩვენი გამგის შეხვედრა, რადგან ქუდთან ერთად თმაც რომ მოვიგლიჯო და სალამი მიც'ცე, არ მიპასუხებს, მიდის ქანდაკებასავით. ხალხი მიყურებს და იცინის.

—:—

მე არ მომწონს, მაგალითად, ჩვენი თეატრების რეპერტუარი ზამთრის სეზონში, რადგან სავალდებულოა პალტოს გახდა. არ მომწონს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სამი შაური (გინდა თუ არ გინდა, გაქვს თუ არ გაქვს) უნდა გადაიხადო. გარდა ამისა, პალტოს სარჩული ისეა დაბდღვნილი, რომ საათნახევარი გაძრობას უნდა და ორი საათი ჩაცმას. შემდეგ, პალტოს ქვეშ ისეთი მოკაზმული ვარ, რომ „გულ-მაგარი" —-რამა დაფრთხება, რომ შემომხედოს.

—:—

მე არ მომწონს, რომ მეპატიჟებიან დიდის აიბიო ოჯახში, ხოლო როცა მივალ, დაიწყება ბოდიშის მოხდა სადილი ქე მოგასწარითო. სადაც არ მივედი და როდისაც არ მივედი სადილს ყოველგან მასწრებენ. აღარ ვიცი როდის სჭამენ სადილს? იქნება შუა-ღამეზე, როცა მე, არაქათ გამოლეული დიასახლისის ენაწყლიანობისაგან, გამოვალ გარეთ და კარებს გამოვიხურავ.

—:—

არც მამაჩემი მომწონს ამ ბოლო დროს. ის დროს აიკიდებს გუდა-ნაბადს და ჩამომიდგება სახლში ბოქაულივით, როცა ჯიბეებში პურის ქერქის მეტს ვერაფერს ნახავთ, მიკროსკოპითაც რომ უცქიროთ.

არ მომწონს ბოლო დროს ჩემი დანიშნულიც. სამი თვეა დანიშნული ვარ და გეფიცებით პატიოსნებას, სამოცამდე გაჭირვებული ნათესავი გამომიგზავნა. ამას უნდა დაეხმარო, უმუშევარიაო. იმას ტანისამოსი აკლიაო, ამას დაპატიმრებული ჰყავს ქმარი და სადილის ფული მიეციო სასიდედროს ჭვალები აქვს და ექიმი მოუყვანეო. (რაღა დროს მისი წამლობაა? ზარბაზანი რომ ისროლოთ ბუზის გაფრენასავით მოეყურება! კამეჩი რომ დაანახვოთ, პეპელა ეგონება!)

საერთოდ ამ ბოლო დროს ჩემი თავიც არ მომწონს, რადგან ჭამის მადა მემატება და ვნახოთ შემდეგში რა მოხდება.

სეგეირ—ბენ—შეიხ.



ძმა-ძმისთვისა, შავი დღისთვისა

„არჩევნები“



ერთი ურემი შეშა

ჯღარბას ტყიდან შეშა მოჰქონდა.

— საიდან მოგაქ შეშა?

— მაღაზიიდან! — მიუგო მასხრობით მეველეს ჯღარბამ.

— მაშ კარგი, რაკი მაღაზიიდან მოგაქ, აბა მიჩვენე შენი ნებართვა, ბარათი!

— ემსაათში!

ჯღაბრამ ამოიღო ბარათი და აჩვენა.

— აქ ორი მანეთი კიდევ აკლია..

— რათა, კაცო? მანეთად ღირს დ მივეცი კიდეც, ორი მანეთი რიღასია?

— ეგ იმისა, რო მოჭრილი ხეები მოგაქვს, აქ კი ნათქვამია— ნაყარიო.

— რას ამბობ, კაცი!..

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ამოიღე.

ჯღაბრამ გაქექა ჯიბეები და ვერაფერი იპოვნა:

— შინ მოდი და იქ მოგცემ...

— მაშ მამე ცული და შენ თვითონ მომიტა სახლში. როცა მომიტან ორ მანეთს, ცულს დაგიბრუნებ და ბილეთსაც წავაწერ, რომ ორი მანეთიც გადახდილია.

ჯღაბრამ შინ მიუტანა ფული, ბილეთზე მეველემ ჯვარი გაუკეთა და ცული დაუბრუნა.

—:—

დამშვიდებულ ჯღარბას მიაქვს ურმით შეშა.

გზაში შეხვდა მეტყევე,—მეველეების უფროსი.

— ვინ მოგცა ნება მაგდენი შეშის წამოღებისა?

— მეტყევეთა უფროსმა!— და უჩვენა ბილეთი.

— მერე, აქ დამპალი სწერია, შენ კი ახალი რცხილა მოგიჭრია.

— არა, ღმერთს გეფიცები, მოჭრილი იყო.

— ვისგან იყო მოჭრილი?! ღმერთი ხომ არ მოსჭრიდა?

ჯღარბამ თავი დამწაშავეთ იცნო და წვერმოტეხილი ენით წაილულლუღა:

— თუ იკ ის იცით რო ღმერთი არ მოსჭრიდა, შე დალოცვილო, ის რატო აღარ იცით, რომ თუ ბილეთს მაძლევთ და ფულს მიხდევინებთ, ღმერთი ციდან კი არ ჩამომიყრის დაჭრილ შეშას, ტყეში ნუდა მოვჭრა.

— ხუთი მანეთი კიდევ უნდა გადაიხადო...

— სად მაქვს, კაცო!...—შეჰყვირა ჯღარბამ.

— მომეცი ცული, გააჩენ....

მეტყევემ ცული გამოართო და წავიდა.

მიუტანა ჯღარბამ ხუთი მანეთი მეტყევეს და უთხრა, ბილეთში ჩაწერე, რომ გადახდილიაო.

მეტყევემაც ჯვარი დაუსვა.

ეხლა სულ დამშვიდებით წაიღო ქალაქში ჯღარბამ შეშა. გზაში ვილაც კაცი შეხვდა და უთხრა:

— მოიცა.

— რა გინდა?

— ბაკი არ უნდა გადაიხადო ქალაქში შესატანი?

— აი დაგწყევლა ღმერთმა! ამ ვერანა ჩემ ბარათს ორი ჯვარი აზია და....

— ჰო და მესამეც უნდა უეჭველად! —უთხრა ვილაცამ.

— რამდენი უნდა გადავიხადო

— მანათი.

—აჰა, ჯანდაბას შენი თავი, ოღონდ ჯვარი დაუსვი.

უცნობმაც დაუსვა ბარათზე ჯვარი და ჯღარბამ დაიმშვიდა გული:

— რაკი სამი ჯვარი აქ ჩემ ქალალდს, ეხლა გზა ყველგან სხნილი იქნება ჩემოვის!

ქალაქის პირში რო შეეიდა, იქაც დააყენეს:

— აბა, ბაკი გადაიხადე —უთხრეს მას.

— აკი გადავიხადე?— და უჩვენა ქალალდი: ეი აბა ამ ჯვრებს უყურე.

— რაში მესაქიროება ეგ ჯვრები, ჩვენგან უნდა აიღო ბარათი —მანეთად ჰღირს.

— რას ამბობ კაცო, ეხლა მივეცი აგე იქ, ქალაქ გარეგ; მითხრა ბაჟიაო!

— იმას უხუმრია.

— ხუმრობა რასა ჰქვიან, შე მაცცხონებული, ჯვრები ყველა ეკლესიებზე მოხსნეს და ჩემი ტყის ბარათი კი გაავსეს.

— იმას უხუმრია-მეთქი,—აკი გეუბნები.

— რა ვიცი, როგორ გავიგო, როდის ხუმრობაა და როდის მართალი?!.

გადაახდევინეს მანეთი.

ერთი მანეთი ტყის ბარათი, ორი მანეთი მეველეს, ხუთი მანეთი მეტყევეს, ერთი მანეთი ხუმრობით, ერთი მანეთი მართლა. გამოვიდა ათი მანეთი.

ჯღარბამ ცხრა მანეთად გაყიდა შეშა და, როცა დაბრუნდა უკან შემოსძახა ურმული:

„ჰარი-ჰარალო ჰარალოოო
ერთი მანეთის ზარალოოო“...

ფეშანგი.

ხარჯების შემცირება

ჯამაგირიდან კაპიკიც აღარ მრჩებოდა. ამან მაიძულა ხარჯები შემემცირებია და გამეტარებია შემდეგი ღონისძიება:

პალტოს მაგიერ ჩავიცვი „პოლშუბკა". მოკლეა; უფრო იაფია.

უწინ მთელი კოლოფი **„პაპიროსი ხალ'ოთა"** მქონდა და ყველა ძიირთმეედა; 27 კაპ. არაფრათ ეაგდებდი... ეხლა ჯიბეში ხუთი კოლოფი მაქვ'ა, (ნუ გეშინიათ — თითქოს ეს ხარჯების გაზრდა იყოს!) თითო კოლოფში თითო ცალი პაპიროსი დევს ობლათ. როცა კოლოფს ამოვიღებ და ხელებს გამომიშვერენ, მე თავაზიანათ ვეუბნები:

— უკაცრავათ, მარა ეს ერთი-ღა ცალი პაპიროსი ჩარჩენილა; მეტი არა მაქვს! — ასე გავდივარ იოლათ.

უწინ კვირაში ორჯერ ვიპარსავდი წვერს. ეხლა ვკვე ორი თვე იქნება საპარიკმახეროში არ შევსულვარ და არც სახლში მიხლაფორთეებია „გალამაზებაზე". თმა და წვერი ახალგაზრდა ბერივით მოვუშვი. კ' მაუშნოებს, მაგრამ... ხარჯების შემცირებაა. სირცხვილის თვიდან ასაშორებლათ, მკლავზე **„ტრაური"** გავიკეთე... ყველას ჰგონია, თითქოს ვინმე მოკეთე მომიკვდა და წვერ-ულვაშიც ამიტომ მაქვს მოშვებული.

სტუმრობა სხვისის ძალიან შემიყვარდა (ეს უწინაც მიყვარდა) სადილობის დროს. როცა სამსახურიდან დაბრუნდება ოჯახის კაცი, მე შორიდან ვუთვალთვალებ და ნახევარი საათის შემდეგ კარებზე ვუკაკუნებ.

ამგვარათ, საგრძნობლათ შევაჩერე ხარჯები. **ძგმუტი.**

მუშტარი:— როგორ?! ასეთი დახეული ხელთათმანი და ისიც სამი მანეთი?

ნოქარი:—შე დალოცვილო, რა გიკვირს? მაგაზე უფრო დახეული გაგვისალებია მაგ ფასათ!

„გიპნოტიზმი"

ტო-რამა რომ თბილისში ჩამოდიოდა,— ეს ერთი თვით ადრე გაიგო ყველა ყრუმ და ყველა ბრმამ.

ამ საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ფ.-ტელეგრატის უწყებას, რომელიც ყველა წერილებზე მრავალტანჯული იობის სიერთგულით ურტყამდა შტემპელებს: **„მოდის გიპნოტიზიორი ტო-რამა".**

— გიპნოტიზმი შთაგონებული ძილიაო,—განაცხადა ერთმა ექიმმა, როცა მას ამის შესახებ ჰკითხეს ძილზე ვის რათ უნდა შთაგონება. მე ვაცხადებ საქვეყნოდ, როცა ამას მოვისურვებ ყოველთვის დავიძინებ. მარტო მე კი არა მთელი დაწესებულებები არიან, რომ სძინავთ კარგა ხანი. მაგალითად, როდესაც მუშკოოპის სამმართველოდან ვიღაც „პატიოსანმა" 20.000 მანეთი მოიპარა, მაშინ შენობის ყველა დარაჯებს გიპნოტიზირათ ეძინათ.

ფულმაც იცის თურმე ძილი: ერთხელ სოფელში დეპეშით გავგზავნე ფული. ფულს გზაში ძილი მოსვლია და დანიშნულების ადგილას მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მიიღეს.

ტო-რამა არ ეთანხმება არც ერთ ექიმს და ამბობს: გიპნოტიზმი—ქათმის ზურგზე წაქცევა არისო.

მე ვაცხადებ: ქათამს არა თუ ზურგზე წავაქცევ, არამედ მას დავკლავ, შევწვავ და შევჭამ კიდეც.

ტო-რამა ამბობს —მე გამოვიყვან ცირკში ბებერ ჭლექიან და კბილებ ჩაყრილ ლომებს. თუ ისინი ხმას არ ამოიღებენ და დაწვებიან, მე მათ ჯოხს შეუჩიჩხინებ და ავაყენებ. ეს არის ჩემი გიპნოტიზიორობაო.

მე ვამბობ—ბებერი და მომაკვდავი ლომები იწვენ თავისთვის, რას ერჩით იმ უბედურებს. ისინი უჩემოდაც დაიძინებენ, მაგრამ თუ ვინმე ექვს შეიტანს ჩემს გიპნოტიზიორობაში დაუდარაჯოს ლომებს და ისინი დაიძინებენ გალიაში ჩემი შთაგონებით საკუთარი ბინიდან.

ტო-რამა ამბობს: არწივს თუ ვინმე მომიყვანს, ფრთებს დავაჭრი და ხელს მოვკიდებო.

მე ვფიქრობ,—რომ ამდენ წვალებას სჯობია ესროლო არწივს თოფი და არ უყურო მის საცოდაობას. ამით იგი გადავა სამუდამო გიპნოტიზმში.

ტო-რამა აცხადებს: მე ვიჩხვლიტავ ნემსს ან მახათს და ტკივილს არ ვიგრძნობო.

მე ვამტკიცებ: ზოგიერთ კაცს ნემსი კი არა, ხიშტი რომ ჭრა მაინც არაფერს იგრძნობს. მაგალითად: მე ვიცობ ერთი სურათების დაწესებულების ფალავანს, რომელსაც ბევრჯერ უჩხვლიტეს, მაგრამ არც ტკივილი იგრძნო და არაფერი ყურიც არ გაუბერტყავს.

მე ვჯობივარ ტო-რამას და არ შევდივარ ბევრ უფულო და ცნობისმოყვარე კაცის ცოდვაში.

ტო.

„მეცნიერება და ტექნიკა"

დაწესებულებებში გახშირდა პალტოების ქურდობა.
(გაზეთებიდან)



ლევარსი როხროხაძის პროექტი პალტოების ქურდობის წინააღმდეგ.

„დაზღვევა"

მოქმედება სწარმოიბს საწირის თემალმასკომში.

გლეხი: — ამხანაგო!

თავ-რე: — რა გნებავს?

გლეხი: — დევიღუპე კაკალი კაცი, ღევიღუპე, ერთი კამეჩი მყავდა და დემეღუპა, აქეთ ვეცი, იქით ვეცი და მითხრეს: — ჩადი დამზღვევ სალარო-ში და ფულს მოგცემენო. არა, მეც ქე მივხვდი, რომ — მე კამეჩი დემეღუპა დღ არჯევანიძე რეიზა მომცემს ფულ-სო, — მარა მაინც წევედი. მითხრა, რომაო:—წადი ალმასკომში, მომიტა-ნე მოწმობა და ფულს მოგცემო. ეხლა ქე მევედი აქანე, — მოწმობა მინდა.

თავ-რე: — რითი მოკვდა? მატარე-ბელს ხომ არ მოუკლავს?

გლეხი: — რასა ბრძანებთ, ბატო-ნო! „პევეზი ჩემი კამეჩის გულისათ-ვის ამევიდოდა ძიროვნის თავში?!

თავ-რე: — მაშ რითინ მოკვდა?

გლეხი: — რაი ვიცი შენი ჭირიმე... მოკვდა კი და...

თავ-რე: — მარტო სიკვდილი არ კმარა. სხვა რაიმე საბუთი უნდა გქო-ნდეს.

გლეხი: — სიკვდილზე მეტი საბუ-თი რა იქნება?!

თავ-რე: — ეგ მშრალი სიტყვა სა-ბუთად არ გამოგადგება. მოწმობას ვერ მიიღებთ; მორჩა და გათავდა, მი-ბრძანდით! (გლეხი გადის. შემოდის მეორე გლეხი).

მეორე გლეხი. (რომელსაც ხელში უჭირავს მოზვრის რქები — მიესალ-მება: მოწმობა უნდა მომცეთ, შენი ჭირიმე.

თავ-რე: — რისი?

მეორე გლეხი: — რისი, შენი ჭირი-მე, და დღეს მოზვერი გოუშვი მთაში მგელს შეუჭამია და წევედი დამზღვევ სალაროში, დახმარება მინდოდა; იქი-ნე მომთხოვეს თქვენი მოწმობა რომ მოზვერი მართლა დემეღუპა.

თავ-რე: — ეგ საბუთი არ კმარა; მოწმე უნდა გყავდეს.

მეორე გლეხი — (გაკვირვებული): —რისი მოწმეები, შენი ჭირიმე! მგლების მეტი ვინ იქნებოდა იქ; და მგლებს ხომ ვერ მევიყვან მოწმეთ?

თავ-რე: — მგლებს კი არ უჯერით, მოწმე უნდა გყავდეს, მოწმე!

მეორე გლეხი: — იმე, შე დალოც-ვილო რაფერ ლაპარაკობ! რავა გგო-ნია ახლა შენ, ი მგლები მოზვერს,რომ ჭამდენ, დეიბარებდენ ვინმეს და ეტ-ყოდენ, რომ შენ იყურე და მერე მოწ-მობის აღების დროს უმოწმე ამის პა-ტრონსო?.

თავ-რე: — სამ წელიწადს და სამ თვეს რომ ილაპარაკო, აქანე მოწმო-ბას მაინც ვერ მიიღებ, სჯობს წახვი-[illegible] და საქმეს მიუდგე; მორჩა და გა-თავდა. (გლეხი მიდის

ივანე: — შენი ჭირიმე, ერთი ხარი მყავდა და ისიც კლდეზე გადამიგორ-და და მოკვდა. ამ ხალხმა დეინახა ეს ამბავი და ახლა კი მოწმობა უნდა მო-მცეთ, რომ დამზღვევი სალაროა თუ [illegible]ცხა ჯანდაბა, იქიდან იქნება ორი კაპეიკი მომცენ; უნდა მომცენ, აბა ტყულა მყავს ხარები დაზღვეული?!

თავ-რე: — (მოწმეებს) სად იყავით თქვენ მაშინ, როდესაც ეს შემთხვევა ძოხდა?

მოწმე: — ჩვენ, შენი ჭირიმე, დღეს მინდორს ვხნავდით, ცოტა შევისვე-ნეთ პურის ჭამას შეუდექით,—გევი-ხედეთ და გადმოგორდა კლდიდან რაცხა და იქინე ჩვენ ახლოს დაეცა..

თავ-რე: — როგორ... როგორ... თვითონ დაგორდა?

ივანე: — აბა მე არ ვყოფილვარ იქ-ინე რომ მე დამეგორებია და ვიცი რომ არც შენ იქნებოდი და აბა ვინ ეშმაკი დააგორებდა? მომეცით მოწ-მობა.

თავ-რე: — ვერა, მოწმობას ვერ მოგცემთ.

ივანე: — რეიზა არ მომცემთ ვი-თომ?

თავ-რე: — ეს მე რა ვიცი; მოწმო-ბა არ მოგეცემა... მორჩა და გათავდა, მიბრძანდით.

ივანე: — ჰო, ჰო ეგრე ქენით და გა-ისათ კიდევ შემევიტან დასაზღვევ ფულს ისე აგიშენდა ოჯახი. (მიდის გულ მოსული).

კოწ—გან.

ფათერაკი

— გაიგეთ ჩემი ოინი? ვაჰხ, რა ხათას გადავრჩი ჰაზირ! ის იყო რაღა, ის ლევროვი რომ გაგდებულიყო, მამენტალნათ ეტაჟით საიქიოს მივდიოდი, უახსარებოთ ამ ჩემ ნუგბარ სულს ეშმაკს ვაძლევდი მააშ!

მაგრამ ჰუზურში ისევ ყისმათმა იმუშავა: ფისტონი ფალშივი გამოდგა და ის ბემურაზი ლევროვი არ გავარდა, მანამდისინ ის ახმახიც ხანჯალს მაიტანდა, მე დროზე ჩავიგდე და გავქცუნდი. ყოჩაღათ კი მოვიქეცი აი; ისე გავრბოდი რომა მოსკოვის კონკაც კი ვერ მამეწეოდა!

ახრიზამანში ჩემი ბრალი კი იყო; არა, შე ახმახო ჩემო თავო, რასა სძვრები იმ შკაფში? მოგისწრო, თოლ მოგისწროს, აკოშკიდან გადაძვერ და წადი, თავს ხათაში რაზე იგდეფ?..

ერიჰაა, თქვენ ისე პარაკონები მიყურებთ, რომ გეტყობათ არც კი გაგიგიათ თუ რა ხათა გადამხდა: იმ შკაფის ამბავს გებნებით რაღა, კურკა მიკიჩამ რო გაყიდა და ჰამაც მე დავესკათ მიმაყოლა, არ გაგიგიათ? ვა, ეგრე თქვით რაღა, თავიდან ჩაგიბულბულოთ, თორემ ისე რას გაიგებთ?

ხომ იცით, კურკა მიკიჩა სპეცათ დააყენეს: ერთ ტრესტში კარქი ძნა-კაცი იშოვა, პურმარილი ჭამეს, ჩურჩუკურკურ, პატიჟ-ქეიფ და ჰუზურში საქმეც მამენტალნათ გაკეთდა: ერთ დღეს, ეს ჩვენი მემწვანილე მიკიჩა სპეცათ დააყენეს: სამი მეტრო პორტფელი დაიჭირა, ლაკიროვან ავტომობილში ჩაჯდა, კასტუმი, რამე—ყველაფერი ჩაიცო და ბოლოს ქეიფობა და ღარდიმანდობაც დაიწყო. ღამეებს სულ არტოში და ნუმრებში ათენებდა. ბოლოს ერთი ნუგბარი მაშინისტკა იშოვა და იმასთან დაიწყო ზითი-ფირთები.

თავისი ცოლი შუშანა? სულ დაავიწყდა, ჩხუბი და ყალ-მაყალი დაუწყო, ხაქში წასვლას და გაყრას ემუქრებოდა.

ჰუზურში შუშანამაც ახლაკდენია გაუკეთა, მიკიჩაზე გული აიაყრა და სხვაგან გართობაზე დაიწყო ლაპარაკი. —გაგონილი გექნებათ, წინათ მე და შუშანას ერთმანეთში ანგარიში გვქონდა, ის—ჩემი გულის სიყმე იყო,—მე—იმისი ჰარიფი და პირის ზიარება. ახში ისევ ძველი მარიფათი მოვიგონეთ, ერთმანეთისა გავხდით.

აქ კი ტოჰკა დავარტყათ, ვა, ბლენა, ყველაფერი რომ გითხრათ ხომ კურკა მიკიჩაც გაიგებს? მერე შენ მოდი და ვირი ტალახიდან ამოიყვანე, ყალმაყალს არ მომიშლის.

ნუ, სლოვომ ასეთი ამბავი მოხდა, იმ ზაჰრუმალ დღესაც: მხვდება შუშანა და მებნება:

— საქულჯან, დღეს სვიდანიაზე უნდა მოხვიდე, მიკიჩა დეჟურნია, ამაღამ არ მოვა, ჰამაც პადაზრენია მაქვს, რომ ის თავის მაშინისტკის, მენენიკში მიდის და მეც სამაგიერო უნდა გადაუხადოო!

— ვა, ჩემი სიყმე შენ გენაცვალოს, რახან მიკიჩა მთელი ღამით ზანიტი ყოფილა, ჩვენც გათენებამდისინ ლაზათიანი დრო გავატაროთ მეთქი. წავყევი. მთელ ღამეს დოირანი გვქონდა. ღვინო მეტი მამივიდა, ჰოპოპები აუშვი და ჰანგლობა დავიწყე. აღარ მახსოვს როგორ დავიძინე.

ერთიც ვნახოთ, ვიღაცა მაღვიძებს, მეჯაჯგურება, კრაოტიდან მაგდებს—ვხედამ შუშანაა.

— საქულჯან, დავიღუპეთ, გათენებულა, მიკიჩა მოვიდა და კარებს აბრახუნებსო. ადექი და ამ წიმუტში ამ შკაფში შაძვერიო. წამოვხტი, შიშისგნით ვილევი, ციცირის კვერცხი ვხდები; ავდექი და მამენტალნათ შავძვერ შკაფში. შუშანამ ჩამკეტა და გასაღები გამააძრო. მიკიჩა კი კარებს აბრახუნებს:

— შუშან, შე ქოფაკის დანარჩენო, გამიღე რაღა, არ გესმის?

— შამოდი მიკიჩ, შამოდი, უჟე გამიღია?

შამოვიდა, ჯერ გაჯავრდა, ჰამა ბოლოს იძახის:



— ბებია, იმ კაცმა მუშტები მცემა თავში!

— უიი, ხელები გაუხმეს ვინაც შენა გცემა:..

— გამხმარი ხელები ჰქონდა და იმიტომაც მეტკინა ასე ძლიერ....

— შუშანჯან, საქმე ფინთათ არის, ჰუზურში სპეცობამ დამღუპა, რასტრატა მამივიდა, ეხლა ექსტრენი რევიზია დამარტყეს და თუ დღესვე ასი ჩერვონცი არ შავიტანე, მამენტალნათ ჭხვრუტავენო!

— უი, ჩემს თვალებს, მაშ ეხლა რა უნდა ჰქნა?

— ის უნდა ვქნა, რომ მუშტარი უჟე მამიყვანია და ეს მებელი უნდა გავყიდოთ, ჰამაც სამკაული, ტანისამოსი რამე, ახში ასი თუმნისა გამოვა!..

ეს რო თქო, პადეზდაში დაუძახა და რაც რომ იარმუკაში სტარი ადოჟები და სპეკულიანტებია სულ სახლში შამორეკა. ტორგი დაიწყეს. მე ჰელეთ-მელეთი მამდის, ვხედამ ვიყიდები რაღა, სტარი ადოჟების ლუკმა ვხდები,

— ხურდა არა მაქვს და მანეთს ხომ ვერ გაჩუქებ?!

— მაჩუქე ეს მანეთი და მთელი ერთი წლის განმავლობაში თავისუფალი ვიქნები შენგან.



— ძია:— აბა ვინ გამოიცნობს ამ ამოცანას: „სდგას და არ იძვრის.—როდის წავა ალახმა უწყის.

ბავშვები: (ერთხმად):— ქუთაისის მატარებელია, ძია!

ამ ხლამს დავესკათ მაყოლებენ. ამას რა უშავს? რომ გაალონ შკაფი და მნახონ? გვერდები გაუძლებს? ჰამაც ეს საცვლებიანი კაცი ამისთანა აჩაინ ხალხში? დადნი საქულ, ქაფური გახდი, წრუწუნათ იქეცი, თაგვის სორო მოძებნე—შაძვერი და გადარჩი... საქმეში ხარ? ალსასრული მოდის, ჩუმათ ლოცვებს ვკითხულოფ, ცოდვებს ვინანიეფ, მიქელ გაბრიელს სულს ვაბარეფ... ბოლოს ერთი ახმახი ებნება: — რა მოგცე ამ შკაფში?

— ყოჩაღ, ძმაო, თუ, მართლაც, ამდენი ხანია მოლარე ხარ და ჯერ გაფლანგვისათვის ციხეში არ ყოფილხარ!

— რას გავფლანგავდი, როცა ჩვენს სალაროში ფული არასოდეს არ არის!?

— ოცი თუმანი, კარგი საქონელია, მკვიდრი, ნამდვილი ვეჯი რამეა, იყიდე, 'მაგრჩება. ნახე რაღა, რა პოლიპრიიანი რამეა, შუშან, გასაღები სად არის, გააღე შიგნიდანაც ნახოს!..

შუშანას ენა ებმება პასუხს არ აძლევს.

— შუშან მეთქი, ახარ რა სტალბნიაკი მოგვსლია?—გასაღები მაიტა, შკაფი გავაღო...

— გასაღები სლესართან გამიგზავნია, წვერი მოსტყდა, გააკეთებს და საღამოზე მზათ იქნება... ჰამა თუ შკაფის ყიდვა უნდა, გარედან კი არა სჩანს რა საქონელია?, იყიდოს რაღა, საღამოზე კი გასაღებსაც მივცემ და შკაფსაც.

ამაზე ის მუშტარი საღლასნი გახდა, ჰუზურში ხუთმეტ თუმანში მორიგდნენ, სხვებმაც სხვა რამეები იყიდეს. ბოლოს ერთი შურუმ-ბურუმი იძახის:

— ის კასტუმი გაღიდოს? რა ღირს?.. ჩემ კასტუმზე ებნება რაღა, ვხედამ სულით, ხორცით და ტანისამოსით ვიყიდები! გულში ვიძახი აფსუს საქულ, ეს რა ხათაში ჩავარდი 'შე ბემურაზო, ჰამაც ჰირის ოფლი მასხამს.

კასტუმიც გამიყიდეს. ტორგი გათავდა. ყველამ თავის ხარახურას დაავლო ხელი და წავიდა. იმ ახმახმაც მუშებს დაუძახა და მე და შკაფი მივყევართ. მე ვიტრუნები, შუშანა ჩალიშობს ნუ წაიღებთო, ჰამა არ იშლიან. ბოლოს ვთქვი:—თოლ,წამილონ, აქ ყალ-მაყალს, ისევ მუშტრის სახლში შარცხვენა მირჩევნია, აქ მოვახერხეფ რამეს მეთქი. ამწიეს... მუშა იძახის:

— ვა რა მძიმეა ეს ოხრათ დასარჩენი, გამკეთებელი შიგა ზისო?

აკი გებნები კარგი მასალაა მეთქი მძიმე იმიტომაა რომ კარქია... ერთის სიტყვით,წამიღეს რაღა, მთელი გალავინცკი გამატარეს—ბოლოს ერთ პერეულკაში შამიტანეს, კიბეებზე ატანის დროს ერთი ორჯერ დამაგდეს და ლაზათიანათ დავიბეგვე, სპალნაში დამაგდეს, ჰამა ხმას არ ამომაღებინებს? ლოქო ვარ, მიცვალებული, კუბოში ვზივარ და ახრიზამანს ისე უცდი....

საღამომდისინ ამ ჯოჯოხეთში ვიყავი... ბოლოს თურმე გასაღები მოუტანიათ და იმ ახმახის ცოლმა შკაფი გააღო... შავხედე, შამამხედა, გული გაუსქდა, ყვირილი დაიწყო:

— დუშკა ვანიჭკ, პაყალუსტა მამეშველე, შკაფში მიქელ-გაბრიელი შამძვრალაო, ეს რო თქო გული წაუვიდა და ზღართა მოადინა, მე გამოვარდი, მინდა გავიქცე, ჰამა მამენტალნათ იმ ახმახმა მტაცა ხელი, დამიღრიალა და მკლავის სიგრძე ისემე მამადო,—ლევროვი რაღა:

— ახტი ბანდიტ, რაზბონიკ, ეგ რა შტუკა გიქნიაო?!.. ტკაც, მაგრამ ლევროვი არ გავარდა:—ანიჭკაჯან, მაშ ხანჯალი მომეცი რომ ღორივით დავკლაო და გავარდა მეორე ოთახში... მე შიშისგნით, შიშიც კი დამავიწყდა, გავაღე კარი და გამოვიქეცი.....

ახში მთლათ გადავრჩებოდი ჰამა, სირბილის დროს მილიციონს დავეჯახე და გამოვალევიძე, იმ ბემურაზს, იმას კიდევ ჩემი შეშინდა, სემაფორს ხელი გაუშოდა გარბის ყვირილით:—მილიციონეერ, მიშველეთ, გიჟები გამოქცეულანო, თან შუშტუკს უკრამს. ტრევოგა დაარტყეს, შემომეხვივნენ და დამიჭირეს... ვაჰხ, ესეც ახალი ხათა იყო რაღა; ბოლოს ერთი ჭკვიანური რამე მოვიგონე და ვებნები მეთქი გზაში რაზბონიკ ვინმეებმა დამიჭირეს ტანისამოსი გამხადეს და აქეთ გამაიქცნენ, იმათ მოვდევდი და თქვენ კი მიჭერთ? სადაური ზაკონია მეთქი? დამიჯერეს, ფაიტონს დაუძახეს და სახლში მიმიყვანეს..

გადავრჩი რაღა, ნეპრემენ სიკვდილს გადავრჩი. ჰამა, ხრანიჩესკი ბნედა კი დამჩემდა ამტოლ შიშისგნითა.

ეხლა იცით რას გებნებით? ჩემი ძმა კაცები ხართ, ჭკვაზე მინდა დაგარიგოთ: ცხოვრებაში ფრთხილათ იყავით, თუ სხვის ცოლებთან თაბაუთის დაჭერა გინდათ, თოლ, დაიჭით, ჰამა სხვის შკაფებში არ შესძვრეთ, თორემ ფათერაკი არ აგცდებათ.... ჰამაც ხათრი დამდე და ეს ამბავი ფარხადანის ყურში არ ჩაიგდოთ.

ფარხადან.

„ბუტერ-ბროტიადი"

დაუსრულებელი მასხრობია

სცენა წარმოადგენს მელითონეთა კავშირის ტეხნიკურ მომუშავეების ოთახს, სადაც საბეჭდ მანქანასთან ზის ფატუშა და პუდრ-პამადას იცხებს სახეზე; მატიკო ბუტერ-ბროტს მიირთმევს.

ფატუშა: სად ჯანაბას არის გიორგა? სვოლოჩ; ონ ვსეგდა აპაზდივაეტ ნა სლუჟბე!

მატიკო: (სტატისტიკოსი) —ახლა ჩვენზე რომ ვსთქვათ — ათ საათზე მოვბრძანდებით ხოლმე; ის, მგონი, ვერ ასწრებს ქარხნებში ქაღალდების წაღებას და მეორე დილით ადრე არიგებს. ალბად ამიტომ დაიგვიანა.

ფატუშა: ჩვენი თავი შეადარა იმ მალჩიშკას! დაჟე პლევატ ნე ხაჩუ ნა ნევო; მეჯავრება... ტფუ! (შემოდის გიორგი—შიკრიკი).

მატიკო: რატომ დაიგვიანე? ჩვენ ამოდენა საქმე გვაქვს და შენ კი ბარიშნასავით გვიან მოდიხარ სამსახურში?

ფატუშა: (ყვირილით) — რამდენჯერ მითქვამს შენთვის — დროზე მოდი სამსახურში-მეთქი? გასწი ჩქარა და წყალი მომიტანე.

მატიკო: მოიცა, ჯერ ეს ქაღალდები აიღე და იმ მაგიდაზე დადევი.

ფატუშა: შემომიტანე ჩაი და —ბუტერ-ბროტი; შენს ლოდინში მე ჯერ პური არ მიჭამია.

გიორგა: (გაშტერებული) — კაცო, მმმმაიცათ, ერთი ცოტა სსსსსული ააამოვიდგა.

ფატუშა: (გაჯავრებით)—რაო! ხედავთ?! წადი და რასაც გიბრძანებ ჩქარა შეასრულე, თორემ... (გიორგა მიდის).

მატიკო: ჩემთვისაც წამოიღე, გიორგა... (გადის)

ფატუშა: (უძახის ბიბლიოთეკარს)—მიტო, გამოი-[illegible]დე აქეთ!

მიტო: რა გინდა?

ფატუშა: ერთი ეს გაანთავისუფლე; რა უნდა რომ [illegible]სულა და თავზე დაგვდგომია! (უჩვენებს შემოსულ მუ-[illegible]ზე).

მიტო: (მუშას) რა გნებავთ თქვენ?

მუშა: რა და, მთელი საათი ვდგევარ აქ და ესენი თავიანთ ალთა-ბალთობაზე ლაპარაკობენ,—ყურადღებას არ მაქცევენ. სულ გასაცოცხი არიან აქედან. ერთი დედას იგინება, მეორე მუშებს მასხრად იგდებს, პირდაპირ არ შემოგვხედავენ, ზურგს მოგვაქცევენ და სწორ პასუხს არ იძლევიან.

მიტო: მართალია—ჩემი მოვალეობა მხოლოდ ბიბლიოთეკარობაა, მაგრამ ესენი თავიანთ საქმეზე მამუშავებენ; ისე მაინც რა გნებავთ?

მუშა: ქაღალდი შემოვიტანე და თავმჯდომარემ ამათთან გამომგზავნა, ესენი კი.....

ფატუშა: მიტო, მაგას თავი გაანება და ერთი იმ ქალს დამიძახე... მარა, თვითონ მოდის აგერ.

ქალიშვილი: (აკოცებს ფატუშას) — რა თავისუფლება ყოფილა თქვენთან, თითქოს საკუთარ ოთახში იჯდე!

ფატუშა: დედას ვუტირებ ყველას! კაკოი დურაკ სმეეტ დატ ზამეჩანიე! (შემოდის გიორგა). სად აგდიხარ ამდენხანს?

გიორგა: ვა! ფატო, შენ არ გამაგზავნე ჩაისთვის!?!

ფატუშა: ჰოო, მართლა! მერმე—და რატომ არ მომართვი?

გიორგა: ბუდტრი-ბრიტია თუ რაღაც ოხრობა, ის არ არის... კალბასია თუ გინდა?

ფატუშა: რა შტერი რამა ხარ, ბიჭო... მომიტანე ეულავე!

მატიკო: (გიორგას)—წყალი რატომ არ მომიტანე?

გიორგა: ვა! ათი ხელი ხომ არა მმმაქვს? (თავისათვის გასვლისას) თქქქქვენი ანგელოზი კი...

ფატუშა: (შემოდის მისი მეორე ამხანაგი)—ფატის ვახლავარ (აკოცებენ ერთმანეთს).

ამხანაგი: შენ ლორიგანს ხმარობ, თუ პრასტოის?

ფატუშა: ჩტო-ზა ასკარბლენიე!? რატომ იქნება უბრალო? პაშლა ტი კჩორტუ მატერი.

ამხანაგი: ჰო, ჰო, ჰო! რა ცუდი გინება გცოდნია! არც ამ კაცის გცხვენია? (ანიშნებს არლოვზე) გაიგო და იცინის.

ფატუშა: ტოვარიშჩ არლოვ, შენი შუბა დავხიე... ჲაი მნე ეტუ ბუმაგუ, ატო პაშლიუ ტებე კ სტეპანა—მატ!

მეორე მუშა: (მოთმინებიდან გამოსული მათიკოს)—უკაცრავათ, მარა წიგნაკში აღმინიშნეთ, თუ რამდენი...

მატიკო: ვოტ ჩელოვეკ! ხომ ხედავ—არა მცალია, ჯერ ილაპარაკობ.

გიორგა: მე საქმეზე მივდივარ. —

ფატუშა: ჯერ არ შეიძლება, მე საქმე მაქვს..

გიორგა: უფროსი მაგზავნის.

ფატუშა: ვინ უფროსი? რა უფროსი? მე რომ გიბრძანებ, ის გაიგონე.

გიორგა: ვაჰხ! ასეთი ხხხხათი გგგინახავთ?!

მუშები: (გაკვირვებით) ვაა! ეს რა ეშმაკებს მოუკალათებიათ აქ? ღმერთო დაგვიფარე მაგათთაგან (დაცინვით პირჯვარს იწერენ)... ფუი ეშმაკს! (გადიან. ფატუშა და მატიკო თავისი ამხანაგებით ასტეხენ შეუკავებელ ხარხარს, რომელიც ისმის მთელ შენობაში).

კოწახური.

ტექსტილ-ტრესტში

(ქუთაისი)

დაცდილი მაქვს: ჩემი კნეინა რომ ბაზარში „პოდრუჩკით" გამატარებს, იქიდან უფათერაკოთ ვერ დავბრუნდები.

ამას წინათ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ხმა გააგდეს ჩვენ ქუჩაში ქალებმა.

— ტექსტილ - ტრესტში რომ შალი ჰკიდია, ბედნიერს ერგება მისი პატრონობაო!

შეუჯდა ჩემ კნეინას ბზიკი (ქაგნელი კიარა!); ატყდა სამგლე გოჭივით: — არ გთხოვ ყიდვას, ოღონდ თვალი შემავლებიეო.

იმისანეა ჩემი კნეინა, რომ მას ვერ აჯობებს ოზურგეთის სად. უფროსი პრინციპებისა და ჟინიანობის გატარებაში.

დოუთმე ფრონტი და მივადექით ტრესტის ვისტავკას...

შალი კიდია, მარა რა შალი, ავ თვალს არ ენახვება. რავა ვიტყვი მის ქებას, თვარა ჩემი ცოლი ლ. ცირიკიძესავით მომეფსკვნება კუდზე.

მიაშტერა თხასავით თვალები, დაალო „პეპელო"-სავით ხახა; არ მესიამოვნა მისი პოზა, გოუყარე პოდრუჩ-

მეზობლის ბრალია

„ზოგეირთი დგმურები, რომლებსაც შეშა არა აქვთ, მეზობლებს საწყობებიდან ჰპარავენ შეშას“.



— დღეს, ასეთ სიცივეში რატომ ფეჩი არ დაგინ-თია?!
— აი, იმ ჩვენმა მეზობელმა თავის „სარაიას“ დიდი ბოქლომი დაადო!

კი, მარა თქვენც არ მომიკვდეთ — ფანდალი ვერ ვაქნევინე. უტრიალე წინდა უკან, მარა სიახლოვეს არ წამიკარა.

— ქალო, შორაპნის კიოსკის მარუსია დღეში ორ საათს არ ჩერდება კიოსკში მიუხედავათ იმისა, რომ გაზეთებს ყიდის; შენი მთელი დღე აქანე უსაქმოთ აყუდება, რა ხეირს მოუტანს ჩემს ოჯახს? ეიდგი ფეხი' ნუ მიწოლილხარ ამ ვისტავკას სტეკლო არ შეამტვრიო თუ არა ვერ დამიხსნის ჩემი ქირისუფალი!

თუ ეს 13 მანეთიანი და 38 კაპეიკიანი შალი არ გიყიდია, დავღუნავ თავს და ჯაჭვის ხიდიდან გადავარდები რიონში!—დამემუქრა ცოლი.

დამესხა თავბრუ და იქვე ჩამოვჯექი მეჩისტეს იაშიკზე. (ოი! ყოველმა ძალამ გიხსნათ სინდიკატის შერყეულ ქალისაგან!)

ტიოილით რომ ვერას გახდა, მიქნა თვალი, მომეხვია, მომიყვანა ეშხზე. იქით-აქეთ ევისესხეთ ფული... მოვეთხოვეთ გამოეწერათ ჩეკი.

— ის გაყიდულია! მითხრა ნოქარმა. მომეშვა გულზე, მარა ჩემ კნეინას მეედვა ცეცხლი:

— რას ქვია! გაყიდული თუა, ვიტრინაში რათ ჰკიდია?!

— არ ვყიდით!

— თუ არ ჰყიდით, რაღას აჩენთ?!

— ვისტავკის სილამაზისათვის!

— თუ სილამაზისთვისაა, ფასი რად აწერია ზედ?!

ატყდა კორიანტელი. შეატყო გამგე პეტრემ ვერ უძლებდა ნოქარი ზირაქაძე ჩემ ცოლს და წეეხმარა იგი'ჯ. შემოვარდა ვიღაც ქალი და იძახის:

— ეს შალი ჩემია; გუშინ ჩამოღება შეეზარათ და დღეისთვის შემპირდენ თანაც გუშინ ფული არ მქონდა!

— ფულიც მაქვს და ოჩერედშიაც პირველობა ჩემია! —ჩაურაკრაკა ჩემმა მზეთა-მზემ.

— ვალიკო, ვი ვჩერა ობეშჩალი; ნე ზაბივაი მენია! —გაისმა რიგის ბოლოდან ვიღაც ქალიშვილის ხმა.

— რას ქვია რუსული სეკრეტი! ობეშჩალით, რომ სთქვა, ალბათ უთხრა—მომე შალიო! დედი მისი შვილია და ამ შალს ჩემს მეტი გაიტანს ვინმე! ისმოდა ჩემი ცოლის ხრინწიანი ხმა.

დაირღვა რიგი, ატყდა კივილი, წივილი ყვირილი ჩხავილი ებდღვნენ ერთმანეთს. გაისმა პეტრე და ვალიკოს მქუხარე ხმა:

— სიჩუმე! სიჩუმე! სიჩუმე! ყველა სმენად გადაიქცა.

— ეს შალი ღირს 13 მან. 38 კ. ამას უნდა დავამატოთ 5 შეკვრა, რომელიც ღირს 7 მანეთი.

ყველა გაშრა.

აშეილო ვიღაც ვაჭარმა ჩეკი და მიართვა. ვარლამმაც გაზეთში შეხვეული შალი იღლიაში ამოუდო ვაჭარს!

— ცეცხლი და ნავთი თქვენ ტრესტობას, წელკავი და ბუასილი თქვენისთანა თანამშრომლებს!—მიაწყევლა ჩემმა კნეინამ და გადამელლარჩა მკლავზე. დევითრიე გარეთ, დაუძახე „კოსტია ციგი“-ას ვასხი და ვასხი უბეში წყალი. ტიროდა და კიოდა, მაგრამ მე კი გულში ვახახაიას ვღიღინებდი...

ზოგიერთ შემთხვევაში ტრესტიც გამოსადეგი ყოფილა!

კოხტაიდე.

საჯავახო

ავათ შევიქენ ბედშავი,
თუმც არ ვიყავი სნეული.
მივმართე საავათმყოფოს,
შემავსებიეს რვეული.

ლოდინით გული გაწყალდა,
მწვავდა ანთება წყეული.
სამ დღეს ველოდე, და შემდეგ,
ვიქენ ექიმთან წვეული.

მომცა რეცეპტი... წავედი.
წამლისთვის აფთიაქშია.
აქაც მხვდა უბედურება—
გამგე არ დამხვდა დახლშია.

ველირსე — მთვრალი მოვიდა
(გვეიძე პროვიზორია.
სიმართლეს ვამბობ, ტარტაროზ,
რაც გითხრა — ყველა სწორია).

სახლი გიორგის ეკუთვნის,
და აფთიაქიც მისია.
(დაზღვეული რომ მიხვიდე,
მითხარ—რა საკადრისია!?).

მივართვი სწრაფათ რეცეპტი,
(გამიჭრა მასზე ბრაზია!).
ჩოთქი აიღო... ჩააგდო
თერთმეტი მან აბაზია.

ბოლოში ნახა ბეჭედი
რომ ესვა დამზღვევ კასისა.
შევატყვე — აღარ იამა,
წაშლა დაიწყო ფასისა.

მითხრა: — არა გვაქვს, ძმობილო.
ჩვენ აქა ეს წამალიო.
მგონი თბილისშიც არ არის
ასეთის ნატამალიო!..

ისევ მივედი ექიმთან,
უამბე გასაჭირია:
—მომეცით ისევ რეცეპტი,
ბეჭედი ზედ არ მჭირია.

და მომცეს ასლი რეცეპტის
ვით კერძოს, არ — დაზღვეულსა
ყვლავ მივუტანე გიორგის
ასეთ ხრიკებში ჩვეულსა.

სწრაფ შეამზადა წამალი,
(თუმცალა იყო გვიანი!).
ჩაიჩხრიალა მან ვერცხლის
თერთმეტი აბაზიანი.

აი, ამ საქმეს სჭირია
მართლაც—და რამე წამალი.
(გიორგი ისე თავხედობს,
როგორც დედლებში მამალი).

დამზღვევ სალაროს ბეჭედი
ბეგიძეს ფეხზე ჰკიდია...
უთქვამს მას ვარი წამალზე;
და..; ფულზე გაუყიდია...

ოხტომესპირელი.

ჯურუყვეთი

ერთხელ მაინც ინახულე,
ტარტაროზო, ჯურუყვეთი.
ბევრი არის ჩვენს სოფელში
გასაწმენდი, მოსაკვეთი.

ჯერ აპალოს რესტორანში
მივაყუროთ იქ რა ხდება;
თუ რამდენი ერთმანეთზე
იქ უჭკუო თავი ტყდება.

—:—

—კარტის თამაშის ადგილი
(თუ ჰკითხე ვინმეს) სად არი?—
ხელსა გაიშვერს იქითკენ,
სადაც სდგას ჩვენი ჭადარი.

—:—

ქვეშ: აღმასკომის მწერალი,
მჭედელი. გიგო და ვანო
თამაშობენ და ამბობენ:
—ვართანიც აქ მოვიყვანოთ!

—:—

ნეტავი ვინმე გამოჩნდეს—
აკრძალოს კარტის თამაში!
ყველანი დავეხმარებით
მთელი ძალ-ღონით ამაში

მეთოხე.

კულაფი

ჯერ მე შევაქებ იმასა,
ვისიც პირველი ჯერია.
ქოხ-სამკითხველო გვემტვრევა,
წვიმით დაულპა ჭერია.

ეხლა მსურს ვნახო ვასილის
საწვრილმანოსი დუქანი.
მისსალ ნავთს ჰყიდის გირვანქათ,
და მიტომ არის მსუქანი.

კულაშელი აჯიბაბა.

ტრესილი

ქეთევანი: იმე ბოშო, პირდაპირ ჩვენთვისაა ეს კოოპერატია დაარსებული! თვალები დაეფსო იმათ, ვინც ამბობს: — ხრესილის კოპერატია ხალხისა და არა კერძოთ ნიკიფორე ჭელიძისო.

ნიკიფორე: ქეთევან, ღმერთი არ გაგიწყრეს — სხვასთან არ წამოგცდეს ასეთი სიტყვები, თორემ იმ წამსვე მომხსნიან ნოქრობიდან და კოოპერატივის ახლოსაც არ გამაკარებენ.

ქეთევანი: რაც უნდა დამიჯდეს ბოშო, შენ მაინც უნდა გაიკეთო ოქროს კბილები. პავლე ბოჟორიშვილს რომ ჩაუჩხრიალებია ოქროს კბილები, შენ ხომ იმაზე მეტი ფულის მშოვნელი და მახინაციებში დახელოვნებული ხარ?! ეს კიდევ არაფერი; შენ უნდა გამოგაწყო ქართველურათ შავ ჩერქესკაში, რომ მით თვალები დაუფსო ჩემ მეტოქე ქალებს.

ნიკიფორე: მაგენი ყველა კარგია, მაგრამ ეს ჩემი ცოდვით სავსე არც ერთი კბილი არ ამტკივდა და ძალაი ხომ ვერ ამოვიგლეჯ? რაც შეეხება ჩერქესკას, ეგ შეიძლება, მარა ეს ოხერი მუცელი თანდათან მსხვილდება და სად გამოიძებნება ჩემს წელზე შემოსასტვენი ღვედი?!

ქეთევანი: შე კაცო, არც პავლეს სტკივოდა კბილები, მაგრამ გარედან შემოაკრა კბილებს ოქრო და ისე აქვს ჩამწკრივებული, რომ მის ტუჩ-კბილის დანახვას, არაფერი სჯობია!

ნიკიფორე: კი, მაგრამ, როდის დაუკვირდი პავლეს ასე გულდასმით, რომ მისმა ტუჩ - კბილმა მოგხიბლა?

ქეთევანი: როცა ვხედავ, რომ მთელი კოოპერატივი ჩვენია და ფულის შემოსავალი წყარო გვაქვს, — მაშინ ყველაფრის სურვილი და მისწრაფება მომდის... მოთმინება აღარ მყოფნის და მინდა ყველაფერი მქონდეს.

ნიკიფორე: ერთი შენც მოცლილივით ლაპარაკობ და ფიქრობ რაში დახარჯო ფული; იმას სრულებით არ უკვირდება, რომ ჩემი საქმე ხდება.

ქეთევანი: რავა, ბოშო, გლახა ხომ არაფერი გაგიგია? რაღაც ხაღვლიანად ხარ!

ნიკიფორე: მეტი რა უნდა გამეგო: სარევიზიო კომისია მოდისო და ვინ იცის რას აღმომიჩენენ ამდენ ბოროტებაში? ამდენ ხანს კი მქოდა სათქმელი: ვასიკო მარჯანიშვილი ფლანგავს — თქვა, მაგრამ ეხლა რით ვიმართლო თავი? ის ხომ ჩემი განცხადებით მოხსნეს და მთელი კოოპერატივი მე ჩამაბარეს?!

ქეთევანი: შენ რა უნდა დაგაკლდეს, ბოშო, სახლში ჯამაგირიც არ მოგაქვს სრულათ.

ნიკიფორე: კი მარა, ყოველ დღე რომ მიბარებდი — შალები წამოიღეო, და მეც რომ მომქონდა სახლში საუკეთესო ნაჭრები და სხვები მშრალზე რჩებოდენ, — კარგი იყო მაშინ?!

ქეთევანი: რავა, ფართალზედაც გიზამენ რევიზიას თუ? მე ვფიქრობ-მარტო სალაროში დაუთვლიან ფულს — თქვა...

ეხლა კი არ ვიცი!?.

ნიკიფორე: ეს შენ კარგათ იცი, რომ ჩემი საქმე ცუდათ მიდის, მაგრამ ეხლა რა გაეწყობა!

ქეთევანი: რომ გაწყრეს ღმერთი და პასუხისგებაში მიგცენ, სასამართლო დიდი ხნის ციხეს მოგისჯის?

ნიკიფორე: ვაი, მისი ცოდვა, ვინც ციხეში ამოყოფს თავს, თორემ შენ რა გიჭირს — ეხლაც თამამად ლაპარაკობ და შემდეგ ჩემს ციხეში ყოფნის დროს, ვინ იცის რას იზამ? ეგებ ჩემთვის სადილის მოტანაც კი დაგეზარაო...

რჭიანი.

შარადა*)

რაღა შორიდან დავიწყო,
მოვედო: ღობე, ყორესა;
რა შეედრება ლაკონიზმს —
სიტყვას: მოკლეს და სწორესა?

რა საჭიროა პათოსი,
მიტინგ - სიტყვები და კრება,
პირდაპირ საქმეს შეუდგეთ
შარადის ვიწყოთ შეკრება.

შარადისათვის გვჭირია,
ჩვენ საღებავის სახელი,
თათრები წვერს რომ იღებენ.
ყველაა მისი მნახველი.

ბოლოდან ერთი ანბანი
მოვაჭრათ, მეტი ბარგია,
ორი ასო-ღა დარჩება,
რაიც შარადას არგია.

შემოვინახოთ ეს ორი,
ჩვენ იგი გამოგვადგება,
ჩავკეტოთ მაგრა ზანდუკში.
(მის ხმარების დროც დადგება).

დასაკრავია ტკბილი რამ,
ჩვენში ის მეტად ხშირია;
ქორწილ - ნათვლაში - ქეიფში,
იგი ჩვენ ერთობ გვჭირია.

როს იგი უკრავს წყვილათა,
ლოყებს იბერავს დამკერელი,
ქვითინებს ტკბილათ, საამოთ,
კაცის არს ეშხზე მომგვრელი!

ამ დასაკრავის სახელი
ეჭვსი ასოთი შესდგება.

ორ ასოს გარდა წინიდან,
ჩვენ სხვა არ გამოგვადება!

შემოვინახოთ ეს ორი
და კელავ დაუყვეთ ქვევითა,
რათა შეეკრიბოთ შარადა,
სიტყვების ნელ-ნელ რჩევითა.

ორბელიანის ლექსიკონს
ყველა მიგნებს მე მგონი,
ორასის გამომხატველი,
გვჭირია ქორონიკონი.

აწ კი მოვნახოთ საჩქაროდ:
მწერალი სტაქიანია,
პიესები აქვს მრავალი.
მას ერთობ გვარიანია.

ქართველი დრამატურგია,
სიტყვა აქვს მკვეთრი, ნაკვესი,
ვინც დაგვიწერა ეხლახან:
„გაჭირებისა ტალკვესი“.

დედა ქალაქში ბინადრობს,
მისი მნახველი ხშირია,
წინიდან მისი სახელის —
სამი ანბანი გვჭირია.

ჩამოვჭრათ, შემოვინახოთ,
პატივითა და ქებითა,
მოვეპყრათ ერთობ სათუთად,
მეტის-მეტ მორიდებითა,

აწ კი მივმართოდ საჩქაროდ
აღმასკომს ქალაქისასა,
ვკითხოთ: რა ჰქვია იმ დარგებს.
რაც რომ მას უვსებს ქისასა.

ვიცით: ერთია სინათლე,
მეორე წყალსადენია,
მესამეს სიბინძურენი.
მიაქვს, ძმავ, ესოდენია.

სწორედ მესამის სახელი
თერთმეტ ასოდან შემდგარი,
იგი გვჭირია, მას ვეცეთ,
ბრძოლა დაუწყოთ მედგარი.

ჩამოვჭრათ, გადავისროლოთ,
წინიდან ასო სამია,
რვა ანბანი-ღა დავრჩება,
შარადის მისადგამია.

რაკი დავიწყეთ, ავკინძოთ
შარადა მტრების ჯიბრზედა,—
ესე ნახულნი ხაწილნი.
დავაწყოთ ერთად რიგზედა.

გამოვა სიტყვა ნაცნობი,
ყველასთვის გასახარია,
ამისთვის, ძმაო, სუყველამ,
ერთმანეთს მივსცეთ მხარია.

სახალხო მეურნეობის
აღორძინება თუ გვინდა,—
გავიღოთ წვლილი სუყველამ
სხვისი ჩიჩინი ნუ გვინდა.

ესე ამბავი, მკითხველო,
ყოველმხრივ მოსაგებია
მის მნიშვნელობა, მე მგონი.
სრულიად გასაგებია.

მაშ გაუმარჯოს ამ სიტყვას,
მის მნიშვნელობას ფრიადსა,
თავდაცვის ზრდისა მალამოს,
საქმეს: კარგსა და დიადსა!

გოგია.

*) ახსნა იქნება შემდეგ ნომერში.

გაკვირვებული

თანახმად სურამის მუშათა კლუბის გამგეობის დადგენილებისა, ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ეძლევათ რამდენიმე უფასო ადგილი კლუბში ყველა წარმოდგენიებზე დასასწრებლათ.

(მოწერილი წერილიდან)

მოლარე:— ვაჰ, ერთი ბილეთიც არ გამიყიდია დაამოდენა ხალხი კი ყველა კლუბში მიდის!



„უდანაშაულოთ დასჯილნი“

…ისებულ ხელსიუფლების დროს, ზემოხსენებული სა-…ური არ უნდა იყოს ხმარებაში, მაგრამ წყალობითა ზოგითათ, პირიქით, ძალიან ხშირათ იხმარება.

ჩვენ გვინდა ასეთი სათაური მივსცეთ ახალ ნაწარმოებს, რომელსაც ამზადებს ლევარსი როხროხაძე. სიუჟეტი აღებულია **მაციფარის** (სამტრედია) მუშათა ცხოვრებიდან:

მოტყუილება 800 მეტრ შარა-გზის სიგრძით.

მომქმედი პირნი: **სამტრედიის ალმასკომი, ინჟინერი გეიმანი და მუშები,** რომლებიც მუშაობდენ გზის გაკეთებაზე და, სამაგიეროთ, რომლებსაც არაფერი არ მიუღიათ.

მუშების მოთხოვნილებაზე, გეიმანი ამბობს: — რა ჩემი საქმეა? მიმართეთ ალმასკომს!.. („უგული“)

— რა დროს ფულია, როცა მუშაობა დასრულებულია და გზა უკვე გადაყვანილია?! — ამბობს ალმასკომი. უარით ისტუმრებს მუშებს და თანაც უმატებს: — ჩვენთან რა გინდათ? მიმართეთ ინჟინერ გეიმანს! ჩვენ მაგის თავი არა გვაქვს!

შეიძლება ეს ბოლო წინადადება სამართლეს შეესაბამებოდეს, რაშიაც არც ჩვენ შეგვდის ეჭვი, მაგრამ ამით არ შეიძლება მუშების დაკმაყოფილება. (ზოგი სიმართლე რომ სიცრუე იყოს, უმჯობესი და უფრო სასარგებლო იქნება!)

ტარტაროზმაც მიჰბაძა ალმასკომს და გეიმანს და ურჩია მუშებს:

— მიმართეთ სასამართლოს! (იქ ყველას აქვს თავი!)

სამართლიანი საყვედური

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ეხლავე ვაცხადებთ, რომ ზემოთქმული სათაური არ ეხება **იასონს,** მისი რა ბრალია, რომ ტყიბულში თოვლი მოვიდა და ელექტრონის მავთულები დასწყვიტა!?

ტყვილად უსაყვედურებს „ოკრიბელი რჭიანი“:

იასონს რა ადარდებს,—
რომ ბინა გვაქვს ბნელია?!
მავთულების აღდგენა
ნუ თუ ასე ძნელია?

დიახ! სამართლიანი საყვედური (ამ ამბის სათაური) მიმართულია არა იასონის მიმართ, არამედ...



ავტო (ეუბნება თავის მგზავრებს): — **თქვე ყურუმსალებო, ამოდენა ხალხს მე თუ კი გატარებ სწრაფათ დაღმართზე, თქვენ ჩემი წაყვანა ვერ შესძელით ორ-სამ ვერსზე? მომაწექით, წამიყვანეთ, თორემ ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან!**

…ი სწორეთ, ამის შესახებ ვამბობთ და ვადასტურებთ, რომ საყვედური სრულიათ სამართლიანია!

საფუძვლიანი მოტივი

როცა ზოგი თვრება და ამის შესახებ უსაყვედურებენ, —თავის გასამართლებლათ ამბობს:

— არც მე მეპიტნავება მაინცა და მაინც ბევრი ღვინის სმა, მაგრამ რომ არ დავლიო, ღვინოს არ ექნება დიდი მოთხოვნილება და, მაშასადამე, ყველამ რომ ასე მოიქცეს, მაშინ დაეცემა ჩვენი ღვინის მეურნეობა.

რას ერჩით! მართლაც მისაღებია მხედველობაში ეს გარემოება.

ეს ერთი მოტივი.

არის კიდევ სხვა მოტივიც, რომელიც ეკუთვნის **მქ. ჩხეიძეს.** (სოფ. ობჩა. სვირის ახლოს). ეს უკანასკნელი ამბობს, (როგორც „თენებოური“ გვატყობინებს):

— ღვინო ზიარებაა... მე მწამს ზიარება... მე მიყვარს ღვინო, რომელიც თუ არ შევსვი, დაძმარდება... აი, ამიტომ ვსვამ მე ღვინოს!

ამასაც რას ერჩით! ესეც მისაღებია მხედველობაში.

მართალია: დაძმარებული ღვინო (ე. ი. ძმარი) ღვინოზე ნაკლები არ ღირს,—მაგრამ აქ ფასში კი არ არის საქმე, არამედ სხვა რამეში, სახელდობრ: ღვინო ზიარებაა. მაშასადამე: ის წმინდა რამ არის და იგი არ უნდა დაძმარდეს. ამისათვის კი საჭიროა მისი დალევა და, ექიმიც ასე იქცევა:

ღვინოს დავლევ, წყალსა არა;
შენ გაკოცებ, სხვა არა...
გულის ტკივილი — არაფერია;
ღვინო დალიე — შენი ჯერია.

და ამის შემდეგ არც გასაკვირია, რომ ზოგიერთებმა თავი იმართლონ ცოლების წინაშე, რომლებიც უსაყვედურებენ ლოთ ქმრებს:

— მოგკლავს, შე საცოდავო, ამდენი ღვინის სმა!

— ღვინო რომ კაცს ჰკლავდეს, თვითონ ჩვენი ექიმი არ დათვრებოდა. ის ექიმია, — კარგად იცის, თუ რა მოუხდიბა და რა აწყენს კაცს.

ესკიზი

„გასულ წელს ქუთაისის სატრანსპორტო კავშირის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ „გაიყოლია“ 132 მან. 50 კაპ. სახაზინო ფული. ეს თანხა ეხლაც მასზე ირიცხება. იგი ამჟამად ბაღდადში მოსამართლეთ არის“.
(გაზეთიდან).

მოსამართლეს ტკბილად ჩაეძინა. რატომ არ ჩაეძინებოდა—სინდისი დამშვიდებული ჰქონდა; დღეს მან გამფლანგველს ციხე და სახაზინო ფულის ანაზღაურება მიუსაჯა... სახალხო ქონების დამცველი და მომვლელია მოსამართლე... დიახ, კიდევ ჰმართებს ტკბილი ძილი..

შუაღამეზე გადასული იყო..

მოსამართლემ ლოგინში წუხილი დაიწყო

ეჩვენებოდა:

სასამართლოს დარბაზი. გასამართლება ხდება. გამოიყვანეს გამფლანგველი... მან (მოსამართლემ) მიმართა:

— თქვენ ბრალი გედებათ სახაზინო ფულის...—ვერ დაასრულა მოსამართლემ, რომ ბრალდებულმა აღტაცებით მიესალმა:

— ჰა, გამარჯობა ამხანაგო!!!—და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევათ.

მოსამართლე გაშეშდა.... და ისე შეკრთა, რომ ლოგინიდან იატაკზე ბრაგვანი ჰქნა... მხოლოდ ახლა გამოეღვიძა, გამოერკვა... თავზარდაცემული ცოლიც წამოვარდა და ქმართან მივარდა:

— რა ამბავია, რა დაგემართა?

— მადლობ ღმერთს — სიზმარი ყოფილა!—სთქვა მოსამართლემ და...

ქუთაისის სატრანსპორტო კავშირის სალარო ელოდება თავის 132 მან. 50 კაპიკს.

ცნობათა მიღება

ზველაშაპს. მამაკაცისათვის რომ ქალის სახელის მიცემა იუმორს ნიშნავდეს, მაშინ თქვენი გურული სცენაც ივარგებდა და ჩვენ მას მოვათავსებდით არა იქ, სადაც ეხლა თავსდება, — არამედ იქ, სადაც არ თავსდება. ჩუ თუ არ გაგიგონიათ ხალხური თქმულება:

თხმოცი წლის ბებია
ველარ გათხოვდებია!

...ჩალათ მოქცეულხართ, რომ გვარი არ მოგიწერიათ ამ წერილისათვის ბოლოში (სირცხვილიც კაი საქონელია). ასე საყვედურობთ სამკითხველოს მეთვალყურე ქალზე.

ჰალაროელს (მეჩხერა. ჭიათურის რაიონი): თქვენ

სამკითხველოს მაგმეთ არის
აქაური ქალი...
ტეხნიკის ქუდს რომ შეხედავს,
ხედ უჭირავს თვალი...

შე კაი კაცო, დღეს ქვეყანა ინდუსტრიალიზაციაზე ლაპარაკობს და ყველა მას ეტრფის... შენ კი გამოსუხარ და უსაფუძვლოთ უსაყვედურებ იმ ქალს, რომელიც ტეხნიკას (ეს ხომ აუცილებელი საჭიროებაა ინდუსტრიალიზაციისათვის?!) ყურადღებით ეპყრობა! აქ არავითარი ბოროტი განზრახვა არ არის; პირიქით, ინდუსტრიალიზაციის პატივისცემაა და, სხვა არაფერი.

მინდვრიშვილს (მარანი): თქვენს წერილში ძლივს-ღა ამოვიკითხეთ თქვენი ფსევდონიმი და რამდენიმე სიტყვა. ეს იმიტომ, რომ საწებავი (გუმერაბიკი) ბევრი წაგისვამთ კონვერტზე, რის გამოც წერილის ხეირიანათ გახსნა არ მოხერხდა. თქვენი დასახიჩრებული წერილი გადაგზავნილია საქიმოთ... უფსკერო გოდორში.

მასწავლებელს (დიდი-ვანი) როცა სუსტი ადგილები გამოვქვითე თქვენს „გოდრებიდან“, (როგორც ეს თქვენ გემართებათ ჯამაგირის მიღების დროს), მხოლოდ ეს-ღა დარჩა თქვენს საკუთრებათ:

აქით ქვითვა, იქით ქვითვა....
ქვითვა მარად, ქვითვა კიდევ...
ვიდხანს ველარ გავატარებ
ჯამაგირის გადამკიდე...

ასე და ამგვარათ, გამოქვითვების შემდეგ როგორც თქვენ აღარაფერი აღარ გრჩებათ, ისევე აღარაფერი დარჩა გასწორების შემდეგ თქვენს ლექსიდან. (თქვენ ჯამაგირსა და გაშვებულ სტრიქონებს შორის პროპორცია დაცულია).

დირრიბომბომს. (სამტრედია): წერილი უნდა ეხებოდეს უარყოფით მოვლენებს. თანამდებობის პირის ქება (და ისიც ასე მშრალათ) არავისათვის საინტერესო არ არის. ლექსთა წყობისათვის არ კმარა ბოლო სიტყვების სამი ასოს რითმები. მოგვაწოდეთ სხვა მასალა.

ცუგრუმელას, (ჭიათურას): ესეც თუ სიმღერაა, მაშინ ყვავის ჩხავილი ბულბულის გალობა ყოფილა. წერილის ბოლოში ასე სწერთ

ჩემი ვინაობის გამომჟღავნება უხერხულათ მიმაჩნია. ვალიუტაა, შეინახეთ. ჩვენც შევინახეთ საგანგებოთ თქვენი წერილი.

გონ-განს: თქვენი წერილები ზოგი დაიბეჭდა. სხვა არ დაიბეჭდება, რადგან მათზე უკვე გვქონდა. პროზა უფრო გეხერხებათ.

ლევარსი როხროხაძეს*) — თქვენ გვწერ...

— უცბათ თავში გამირბინა: რატომ უნდა ... საზამთროს (ბაბურზაკს) საზამთრო? ის ხომ ზაფხულში მოდის და არა ზამთარში? ეს შეცდომაა. სრულიად არ შეეფერება ეს სახელი ამ პატიოსან ხილს!.. თუ საზამთროა, მაშასადამე: ზამთარში უნდა იყოს, და არა ზაფხულზე?!

ამ ფიქრებში ვიყავი და სიცივისაგან ხელებს ვითბობდი ამონასუნთქ ორთქლით, რომ ჩამომიარა მანდილოსანმა, რომელსაც ძლივს-ღა მიჰქონდა თავისი სიმძიმე. მაშინვე გადავსწყვიტე გამომეგზავნა თქვენ... სურათი ასეთი სათაურით:

ორი საზამთრო

(ლევარსი როხროხაძის დაკვირვება,



ხოგ თავს რომ საზამთრო სჯობია, ჩვენ ამაში უკვე დაგვარწმუნა ამ თქვენმა დაკვირვებამ. მოგვაწოდეთ რამე თავის თავზე.

დაფიქრებულს. თქვენ გვთხოვთ დაგიდასტუროთ, რომ „ტარტაროზი“-ს გასულ ნომერში „ცნობათა მიღება“-ში მოთავსებული ავტორი—**დაფიქრებული** არა ხართ ის, რომელიც ამავე ფსევდონიმით თანამშრომლობით გაზეთებში. ვადასტურებთ, რომ არა ხართ ის **დაფიქრებული.** (მაგრამ დაფიქრების უფლებას სხვებს ვერ წაართმევთ)

რაკრაკას: — ასე სწერთ: **შოთა რუსთაველი რომ ამბობს: „ათასათ კაცი დაფასდა, ათი ათასათ ზრდილობა“ო, —ეხლა რომ ისეთი დრო იყოს, რომ კაცობას და ზრდილობას ასე დიდი ფასი ჰქონდეს, — მაშინ ჩემისთანა მდიდარი სხვა არ იქნებოდა.**

ტყვილა გგონიათ. მაშინაც ასეთივე იქნებოდით. მუქთათ ფულს არ გადაყრიან; მაგისი იმედი ნუ გექნებათ!

*) ნურავის გაუკვირდება, რომ ლევარსი როხროხაძის წერილს „ცნობათა მიღება“-ში ვათავსებთ. ტარტაროზისათვის სულერთია ვინც არ უნდა იყოს,—თუ წერილი არ არის გასაშვები, მაინც არ გაუშვებს, თუ გინდ თვითონ მისი, ანდა ლევარსის ... ნაცნობობა და მეგობრობა ა... ვაში არ სწამს ტარტაროზს.

„ახალი გამოგონება“

„ამ ბოლო ხანებში რკინის გზაზე ქურდებმა შემოიღეს ქურდობის ახალი ხერხი: ფანჯრებიდან ჩანგლების საშუალებით იტაცებენ მგზავრების ბარგს“.

(გაზეთებიდან).



— ფეფელო.—მიშველე გეოჯან, მეც გამამდეს კრუჩოკი, მწევენ ცალი მხარე მამაგლიჯეს.

გეო.—დედაკაცო, კრუჩოკი გამოგდეს, რომელი გე- ლაქნური გნახეს? თოოლ გაგწიონ, რასაც მაგით მაიგებენ, მერე გაიგებენ.